

თემურ ტუნაძე  
(საქართველო)

**ხალხური თვითშემოქმედების გუნდები ზემო აჭარაში  
(XX საუკუნის 30-40-იანი წლები)**

ქართული ხალხური შემოქმედება, მათ შორის ხალხური სასიმღერო ტრადიციები და სასცენო ხელოვნება ისეთივე ძეგლია, როგორც თავად ქართველი ხალხი, მაგრამ, ისტორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით ღირებული და ფასეულია ის დოკუმენტური წყაროები და ფაქტობრივი მასალები, რომლებიც პირველწყაროს მნიშვნელობას იძენენ და საშუალებას გვაძლევენ ხალხური საშემსრულებლო ხელოვნების, მათ შორის, თვითშემოქმედებითი გუნდების, ცალკეული პიროვნებებისა თუ კონკრეტული ოჯახების შესახებ, დოკუმენტებზე დაყრდნობით ვისაუბროთ.

საქართველოში და, მათ შორის, აჭარაში, საშემსრულებლო ტრადიციების ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, XX საუკუნის 30-40-იანი წლები ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემდგომ, ეს იყო პერიოდი, როცა ხალხური თვითშემოქმედებითი სასცენო გუნდების ფორმირების პროცესი გეოგრაფიულადაც გაიშალა და მასობრივი ხასიათიც მიეცა. ამ პროცესს თავისი მიზანი და იდეოლოგიური ჩარჩოები გააჩნდა, რამდენადაც ეს იყო დრო, როცა თანდათანობით მტკიცებოდა ახალი სოციალისტური იდეოლოგია, საფუძველი ეყრდნობა საბჭოთა მოქალაქეთა იდეას და ამგვარამა მოთხოვნებმა ხალხურ თვითშემოქმედებაზეც თვალსებური ასახვა ჰქონდა. მიუხედავად ამგვარი იდეოლოგიური ფონისა, ამ პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხური სიმღერისა და ცეკვის არაერთი საინტერესო ვარიანტის გადარჩენის თვალსაზრისით.

ნაშრომი, რომელსაც წარმოგიდენთ, ისტორიული ხასიათისაა, მთლიანად საარქივო მასალებზე დაყრდნობითაა შესრულებული და მხოლოდ ერთ კონკრეტულ პერიოდსა და საკითხს მოიცავს, ესაა XX საუკუნის 30-იან წლებში ხალხური თვითშემოქმედების გუნდების აღრიცხვა-კრიმპლექტაციისა და რეპერტუარის შერჩევის ზოგადი პოლიტიკა. გეოგრაფიულად იგი ზემო აჭარას, ანუ იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ხულოს რაიონს მოიცავს, რომელშიც ერთიანდებოდა შემდგომდროინდელი შუახევის რაიონიც.

აჭარის საარქივო სამმართველოს ბათუმის არქივში დაცული დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ხალხური შემოქმედების კაბინეტის დირექტორის გიორგაძის<sup>1</sup> მოხსენებით ბარათს, რომელიც 1939 წლის დეკემბერში საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის დირექტორის გრიგოლ კოკელაძისადმია წარდგენილი (ას. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24, ფურც.: 1-8, 29, 40, 47, 50, 52).

მოხსენებით ბარათში გიორგაძე მოკლე ისტორიულ ცნობებსაც გვაწვდის და აღნიშნავს, რომ აჭარაში ხალხური შემოქმედების კაბინეტი 1936 წლიდან არსებობს. იმ დროი-

<sup>1</sup> მოხსენებით ბარათს გიორგაძე ხელს აწერს, როგორც ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი. თუმცა დოკუმენტს ხელნერა არ ახლავს, არამედ ჩაბეჭდოლია მხოლოდ გვარი შემდეგნაირად: „/გიორგაძე/“, ინიციალის გარეშე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გიორგაძის სახელის შესახებ ერთგვარი გაუგებრობა: თვითშემოქმედებითი გუნდების დაზაღლიერების ამსახველ ხელნერ მასალებში გიორგაძის ხელნერას რამდენიმე ადგილზე ახლავს ინიციალიც, რომელიც აშკარად ასობგვარა „ნარ“-ია, ანუ ნ. გიორგაძე. თუმცა იგივე საარქივო საქმეში დევს ხელნერილები, სადაც, ხალხური შემოქმედებითი კაბინეტის დირექტორად მოხსენიებულია კოლა გიორგაძე. ეს საკითხი შემდგომში დაზუსტებას საჭიროებს.

სათვის კაბინეტის საქმიანობა მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს, ფარცხალაძეს ჰქონია შეთავსებული. გიორგაძე მიუთითებს, რომ მას ძალზე გადატვირთული სამუშაო ჰქონდა და რაონებში წასვლის, იქაური გუნდების დათვალიერების დრო არ ჰქონდა, რის გამოც „კაბინეტის მუშაობა მოისუსტებდა“ (ას. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24).

გიორგაძე კაბინეტის დირექტორად 1939 წლის 15 იანვრიდან დაუნიშნნავთ. მისივე თქმით, არავის არავითარი საბუთი არ ჩაუპარებია მისთვის, მხოლოდ მანახეს სად უნდა დავმჯდარიყავიო (ას. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24). 15 იანვრიდანვე მას დაუწყის ყველა თვითმოქმედი წრის აღრიცხვა და გაცნობა-დათვალიერება. ამ დროს ეცნობოდა რეპერტუარს, აძლევდა კონსულტაციებს, დათვალიერების შედეგების შესახებ ანარმობდა ჩანაწერებს და სხვ. იგი იქვე დასძნს, რომ 1939 წლისათვის კაბინეტის ბიუჯეტი 40 ათასი მანეთით განუსაზღვრავთ. იმავე წელს კაბინეტი გადაუკეთებიათ შემოქმედების სახლად, მაგრამ, როგორც ჩანს ეს ინფორმაცია გიორგაძემ დაზუსტებით არ იცის. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარი გაუგებრობა, ან შეიძლება აჭარისა და თბილისის შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს შორის ნაკლები კავშირი იყო. ეს იქედან ჩანს, რომ გიორგაძე შეახსენებს კოკელაძეს, რომ მას მიუწერია თბილისში, რათა ხელოვნების სამმართველოს მოწერა სპეციალური წერილი აჭარაში სამმართველოს უფროსისათვის, დასტურად იმისა, რომ აჭარაში ხალხური შემოქმედების კაბინეტი გადაუკეთებულია შემოქმედების სახლად. გიორგაძე აღნიშნავს, რომ ჩვენი სამმართველოს უფროსი არ ეთანხმება მარტო იმ მომართვას, რომელიც ოქვენს მიერ იყო გადმოგზავნილი (ას. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24).

გიორგაძეს 1939 წლის 15 იანვრიდან 1939 წლის 31 დეკემბრამდე აჭარაში ხალხური შემოქმედებითი გუნდების გამოვლენის, აღრიცხვისა და დათვალიერების მიზნით რიგი ლონისიებები გაუტრებია, კერძოდ გუნდების კონსულტაცია და დათვალიერება 96-ჯერ განუხორციელებია და ერთი წლის მანძილზე სულ 200 თვითმოქმედი წრე აღურიცხავს, რომელთა შორის 30 ინდივიდუალური ყოფილა.

ზოგადი სტატისტიკა კი შემდეგი ყოფილა: რაიონული გუნდი — 3. საკოლმეურნეო და თვითმოქმედი გუნდი — 40. მეჩონგურეთა ანსამბლი — 14. მოცეკვავეთა ანსამბლი — 8. ხორონის მოცეკვავე — 4. ქართული დრამწრე — 22. რუსული დრამწრე — 13. ბერძნული დრამწრე — 3. სომხური დრამწრე — 3. სასულე თრკესტრი — 10. სიმებიანი ორკესტრი — 10. საბალეტო წრე — 4. მეჩონგურები — 10. მეჭიპონები — 10. აღმოსავლური ტრიო — 3. ინდივიდუალური შემსრულებლები — 30. იზო<sup>2</sup> წრეები — 3. მთქმელები — 10 (ას. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24).

საინტერესოა ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც გიორგაძეს 1939 წელს მოწვეული ჰყოლია ხმისჩამწერი ბრიგადა და ჩაუწერიათ „თითქმის ყველა“ თვითმოქმედი და საკოლმეურნეო გუნდი. ჩანაწერილ ფირფიტებში ბევრი ისეთი სიმღერები ყოფილა, რომ ლებიც ფოლკლორულ მასალას შეიცავდა. ამ პერიოდში ხალხური ნანარმოებების ჩასანერად ხელშეკრულება კომპოზიტორ ალექსანდრე ფარცხალაძესთან ყოფილა გაფორმებული. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ჩანერილი სიმღერების ნანილი 1939 წლის 31 დეკემბერს აღ. ფარცხალაძეს ჩაუპარებია, დანარჩენი კი 1940 წლის 1 მაისამდე უნდა ჩაებარებინა. აჭარის ხალხური შემოქმედების კაბინეტი გადასამზადებელ კურსებზე კანდიდატების გაგზავნასაც გეგმავდა და ამ მიზნით სიებსაც აღგენდა (ას. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24).

<sup>2</sup> აბრევიატურა „იზო“ შექმნილია რუსულის მიბაძვით, თუმცა შევდომით. რუსული «изобразительное искусство» ქართულად შემოკლებული სახით ჩანერილია, როგორც „იზო“. 1930-იან წლებში აჭარაში მოქმედებდა პროფესიული ხატვის სტუდიები, რომელთა რაოდენობა ჩანს სამი იყო. აღნიშნული აბრევიატურის დაზუსტებისათვის მაღლობა ქალბატონ ნინო ნიურაძეს (მხატვარი, ბათუმის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი) და აიდა აბუსერიძეს (ბათუმის ხელოვნების ცენტრის მენეჯერი).

დასასრულს, გიორგაძე სთხოვს, რომ ყურადღება მიაქციონ და დაეხმარონ პიუ-ჯეტის, შტატის, ბინისა და ტრანსპორტის საკითხებზე, რადგან არსებულ პირობებში მუშაობა მას შეუძლებლად მიაჩნდა. დასხენს, რომ შედგენილი ჰქონია მომავალი, ანუ 1940 წლის სამუშაო გეგმა და ერთი ეგზემპლარი თბილისში გრ. კოკელაძესთანაც გადაუგზავნია.

მოხსენებით ბარათს მოსდევს აჭარის ხალხური შემოქმედების სახლის მიერ აღ-რიცხული თვითმოქმედი წრეების სია — 1939 წლის 1 იანვრიდან 1939 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული სია ანკეტის სახითაა შედგენილი, სადაც შემდეგი ინფორმაციაა მოცემული: წრეების სრული დასახელება, რომელ ორგანიზაციასთან არის ჩამოყალბებული და რომელ წელს არის ჩამოყალიბებული წრე, წევრების რაოდენობა, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, რომელ ენაზე წარმოებს მუშაობა, ხელმძღვანელის განათლება ხელოვნების დარგში, ხელმძღვანელის საერთო განათლება, ხელმძღვანელის პარტიულობა და შენიშვნა (ასს. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24). ამ სახის ინფორმაცია ანკეტაში გუნდის წევრების შესახებაც არის წარმოდგენილი, რაც ძალზე საინტერესოა ხალხურ ხელოვნებაში ჩართულ პირთა სოციოლოგიური კვლევის თვალსაზრისით.

აღნიშნულ ანკეტაში აჭარა რამდენიმე აღმინისტრაცულ ერთეულადაა დაყოფილი და, შესაბამისად, მათში შემავალი შემოქმედებითი ჯგუფებიც დიფერენცირებულადაა აღნიშნული. ესენია: ქალაქი ბათუმი და მისი რაიონი, ქობულეთის რაიონი, ქედის რაიონი, ხულოს რაიონი და ცალკეა გამოყოფილი აჭარის ხალხური შემოქმედებითი სახლის მეთვალყურეობით არსებული, სახელმწიფო ხარჯზე მყოფი ობიექტები.

ინფორმაციული თვალსაზრისით, ეს მასალები საკმაოდ მოცულობითი და მრავალ-ფეროვანია, ამიტომაც ნაშრომში მხოლოდ ხულოს რაიონში შემავალ გუნდებს შევეხებით.

ბათუმის არქივის აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ხულოს კულტურის სახლთან არსებული გუნდების სია შემდეგია:

1. მომღერალთა გუნდი. დაარსდა 1939 წელს 32 წევრით. ხელმძღვანელი ნესტორ ჯიბლაძე. ანკეტაში მითითებულია, რომ მუშაობა ქართულ ენაზე წარმოებს. თავად ნესტორ ჯიბლაძეს სახელოვნებო მიმართულებით „არავითარი“ განათლება არ ჰქონია, ხოლო საერთო განათლების გრაფაში აღნიშნულია, რომ მას საშუალო განათლება ჰქონია და იყო უპარტიო.

2. მეჩინგურე აჭარელ ქალთა ანსამბლი. დაარსდა 1918 წელს 22 წევრით. ხელმძღვანელი ნესტორ ჯიბლაძე. აქაც ხელმძღვანელის შესახებ ანკეტაში იგივე მონაცემებია.

3. საბავშვო გუნდი. დაარსდა 1939 წელს 27 წევრით. ხელმძღვანელი ჩიხლაძე (ინიციალი არა მითითებული). ჩიხლაძის გუნდი ქართულ ენაზე მუშაობდა. ხელმძღვანელს სახელოვნებო მიმართულებით „არავითარი“ განათლება არ ჰქონია. ზოგადად კი საერთო განათლების სვეტში აღნიშნულია, რომ „და“, ანუ დაბალი განათლება ჰქონდა. ჩიხლაძე ალკე-ს წევრი ყოფილა.

4. სოფელ ხიხაძირის მეხორონეთა ანსამბლი. დაარსდა 1938 წელს.<sup>3</sup> ამ გუნდის დაარსების თარიღს დამატებითი კვლევა სჭირდება. ასლან აბაშიძეც ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას და მასაც „არავითარი“ სახელოვნებო განათლება არ ჰქონია. საერთო განათლების გრაფაში აღნიშნულია, რომ „და“ — დაბალი განათლება ჰქონია და უპარტიო იყო.

5. სოფელ ჭვანას ქართული დრამატული წრე. დაარსდა 1939 წელს, 13 წევრით.

<sup>3</sup> ანკეტაში დაარსების თარიღში (1938) ციფრ „3“-თან ერთად ციფრი „1“-იცავა. ციფრი „3“ უფრო მერთა-ლად, ხოლო ციფრი „1“ უფრო მევერად ჩანს. ორივე ციფრი ერთმანეთზეა გადაწერილი ისე, რომ ძნელი დასადგენია, გუნდის დაარსების თარიღად 1938 თუ 1918 წელი უნდა მივიჩნიოთ

ხელმძღვანელი დომენტი ხაინდრავა. იგი ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას და მასაც „არავითარი“ სახელოვნებო განათლება არ ჰქონია. საერთო განათლების გრაფაში აღნიშნულია, რომ მას საშუალო განათლება ჰქონია და უპარტიო იყო.

6. ხულოს კულტურის სახლის სასულე ორკესტრი. დაარსდა 1939 წელს 23 წევრით. ხელმძღვანელი ლორთქიფანიძე. იგი ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას და მასაც „არავითარი“ სახელოვნებო განათლება არ ჰქონია. საერთო განათლების გრაფაში აღნიშნულია, რომ მას საშუალო განათლება ჰქონია და ალკე-ს წევრი იყო.

7. სოფელ დიოკინისის ქართული დრამატული წრე. დაარსდა 1939 წელს, 14 წევრით. ხელმძღვანელი კაპიტონ ლაშებია. ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას, არ ჰქონდა სახელოვნებო განათლება, იყო საშუალო განათლების მქონე და ალკე-ს წევრი.

8. სოფელ ყინჩაურის დრამატული წრე. დაარსდა 1939 წელს, 18 წევრით. ხელმძღვანელი კოპალიანი. ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას, არ ჰქონდა სახელოვნებო განათლება, იყო საშუალო განათლების მქონე და და ალკე-ს წევრი.

9. სოფელ რიყეთის დრამატული წრე, დაარსდა 1939 წელს, 17 წევრით. ხელმძღვანელი ბიჭტორ თოდუა. ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას, არ ჰქონდა სახელოვნებო განათლება, იყო საშუალო განათლების მქონე და ალკე-ს წევრი.

10. სოფელ ალმეს მომლერალთა გუნდი. დაარსდა 1939 წელს 25 წევრით. ხელმძღვანელი რეფერ მელაძე. ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას, არ ჰქონდა სახელოვნებო განათლება, იყო საშუალო განათლების მქონე უპარტიო.

11. სოფელ ალმეს მეხორონეთა ანსამბლი. დაარსდა 1939 წელს, 5 წევრით. ხელმძღვანელი მელაძე (ინიციალის გარეშე). ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას, არ ჰქონდა სახელოვნებო განათლება, იყო საშუალო განათლების მქონე უპარტიო.

12. ხულოს რაიონში მოქმედებდა, ასევე სიმღერის 10-წლები და არსებობდა 10-წლების მომლერალთა გუნდი, რომელიც 1939 წელს დაარსდა, 32 წევრით. ხელმძღვანელი ლორთქიფანიძე (ინიციალის გარეშე — თ.ტ.). ქართულ ენაზე ახორციელებდა მუშაობას, არ ჰქონდა სახელოვნებო განათლება, იყო საშუალო განათლების მქონე უპარტიო.

აღნიშნული ანკეტის მიხედვით სულ ხულოს რაიონის ხალხური თვითშემოქმედების გუნდებში აღრიცხული იყო 240 წევრი (ასს. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24).

ზემოთ დასახელებული საარქივო მასალები შეიცავს, ასევე, ხულოს რაიონის გუნდების დათვალიწყების შედეგებს. ხულოს სახელოვნებო გუნდების დათვალიერება მხოლოდ ხალხური შემოქმედებითი კაბინეტის დირექტორს, გიორგაძეს და იმსპექტორს, ე. დოლიძეს უნარმოებიათ. ამ დათვალიერების დროს შესრულებული ჩანაწერები ხელნაწერია, შესრულებულია მერით, სასკოლო რვეულში. დათვალიერების შედეგები, მართალია, ზოგ შემთხვევაში ტრაფარეტულა, მაგრამ შიგადაბიგ საინტერესო ინფორმაციას მაინც შეიცავს. მაგალითად, ხულოს არასრული სამუალო სკოლის ქალთა გუნდი 35 მონაციისაგან შედგებოდა და მას პიონერი შადიე მესხი ხელმძღვანელობდა. დათვალიერების შედეგებში აღნიშნულია, რომ გუნდი ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. გუნდთან არიან ნორჩი მოცეკვავეები, რომლებიც ცეკვას სიმღერის თანხლებით ასრულებენ, „ცეკვავენ ხორონს, ფერხულს, ყოლსამას და ლეკურს“. დასახელებულია ნიჭიერი შემსრულებლები: სურიე მიქელაძე და მაყვალა ჩიხლაძე. ცალკეა აღნიშნული დები ჩიხლაძეები და შადიე მესხი, რომლებიც ნიჭიერებით გამორჩეულები ყოფილან. ჩანიშნულია, რომ გუნდი მეჩინგურებს და საბავშვო პიესებს საჭიროებს, რადგანაც გუნდთან დრამატული წრეც არსებულა, რომელსაც სკოლის დირექტორი ლიპა ჩიხვიშვილი ხელმძღვანელობდა. ზოგადი შეფასების მიზნით, იქვე აღნიშნულია, რომ „კულტურულად ბავშვების აღზრდაში“ სკოლა თვალსაჩინოა და ეს მისი დირექტორის, კარგი მასწავლებლების ენერგიის და უნარიანობის დამსახურებაა (ასს. ფონდი რ-986, აღწ. 1, საქ. 24).

ხულოს პედაგოგიკური მოწაფეთა გუნდს ხასან მიქელაძე ხელმძღვანელობდა

და მასში 30 მონაცე შედიოდა. გუნდი სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებების შესრულების მხრივ საშუალო დონეზეა შეფასებული და მისთვის მითითებაც მიუციათ რეპერტუარის ზოგიერთი სიმღერის შესრულებაზე. ამასთანავე ხელმძღვანელს მიეცა წინადაღება, რომ წარედგინა რეპერტუარი დასამტკიცებლად.

ხულოს ქალ მეჩონგურეთა ანსამბლს მენიკი შარაბიძე ხელმძღვანელობდა. ანსამბლი აჭარელი ქალებისაგან შესდგებოდა. მეცადინეობაც ნორმალურად მიმდინარეობდა და საკმაო ნომრებიც ჰქონიათ მომზადებული.

ხულოს საკოლმეურნეო თეატრთან არსებულ გუნდს ვინმე გრიგოლ მდივანი ხელმძღვანელობდა. მითითებულია, რომ გუნდი სამი-ოთხი თვეა ჩამოყალიბებულია, აქეს თავისი რეპერტუარი. მოცემულ გუნდთან დაკავშირებით საინტერესო ამბებია აღნერილი, კერძოდ, დათვალიერების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხულოს კულტურის სახლის დირექტორი არ ეხმარება გუნდს, ქმნის აურზაურს, რასაც გამოუწვევია გუნდის დაშლა. დათვალიერების დროს ეს გუნდი ხელახლა შეუგროვებით, შეუმონმებით, ანკეტების მეშვეობით აუყვანიათ აღრიცხვაზე და სამეცადინო ცხრილიც მიუციათ. იქვე მითითებულია, რომ კულტურის სახლი არავითარ დახმარებას არ უწევს რაიონში და სოფსაბჭოებთან არსებულ დრამწერებს და გუნდებს, რომ ხულოს და ქედის კულტსახლების გამგების საქმიანობა შესასწავლია. იქვე კულტურის სახლის გამგეობის საქციელი უფრო დაკონკრეტულოცაა, კერძოდ: „ისინი დემონსტრაციულად იღაშერებენ ჩვენს წინააღმდეგ, არ მუშაობენ, ტოვებენ შეკრებას, გუნდის შემოწმებას და სხვა“ (ასს. ფონდი რ-986, აღნ. 1, საქ. 24).

საარქივო მასალები შეიცავს ხელნერილებს, რომლებიც ადასტურებს, რომ აჭარის ხალხური შემოქმედებითი კაბინეტის დირექტორ კოლია გიორგაძისაგან, მაგალითად, ხულოს კულტურის სახლის გამგემ ჩაიბარა ხულოს ქალთა — სოფ. დეკანაშვილების მეჩონგურეთა ანსამბლის მიერ „ჩამღერებული პლასტინკები, სხვადასხვა სახის სიმღერები, 17 ერთეული“. სხვა შემთხვევაში ხულოს ქალთა არასრული საშუალო სკლის დირექტორი ლიპა ჩხიოვაშვილი ხელნერილით ადასტურებს, რომ ჩაიბარა ფირფიტები, 6 ცალი, სადაც იმავე სკოლის მონაცეთა სიმღერებია ჩამღერებული. თარიღი 1939 წლის 15/VI (ასს. ფონდი რ-986, აღნ. 1, საქ. 24).

აჭარის ხალხური შემოქმედებითი კაბინეტის დირექტორის მოხსენებით ბარათს თან ახლავს გუნდების შემადგენლობის სია, რომელიც სპეციალური ანკეტის ფორმითაა წარმოდგენილი (წაშრომს თან ერთვის). აღნიშნული მონაცემები საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ აღნიშნული პერიოდის ზემო აჭარის კულტურული და საგანმანათლებლო მდგომარეობის შესახებ.

ამდენად, აჭარის საარქივო სამმართველოს ბათუმის ცენტრალურ არქივში დაცული, აღნიშნული კონკრეტული დოკუმენტის მიხედვით, აჭარის ხალხური თვითშემოქმედება XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსათვის საკამაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ჩანს. ამ დროისათვის ზემო აჭარაში მოქმედებდა, როგორც მომღერალთა და ქორეოგრაფიული გუნდები, ასევე, თეატრალური დრამატული წრეები. მათ შემადგენლობაში, გარდა ქორეოგრაფიული გუნდებისა, უმთავრესად, იმ დროისათვის აჭარაში მოღვაწე მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურები დომინირებდნენ, თუმცა, ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობაც იყო ჩართული ზემო აჭარის კულტურულ ცხოვრებაში.

### გამოყენებული წყარო

აჭარის საარქევო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასს). ფონდი რ-986, აღნ. 1, საქ. 24, ფურცელი: 1-8, 29, 40, 47, 50, 52.